# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
## N1-51

ქ. თბილისი

13 ივნისი 2016 წ.

ერთის მხრივ **სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსი ვასილ გედევანიშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „დანი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბერუჩა ლუხუტაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: წარმომადგენლობითი ხარჯები **(რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება CPV5530000) „მიმწოდებელი“ ვალდებულებას იღებს წინამდებარე ხელშეკრულებოით გათალისწინებულ ვადაში გაუწიოს შემსყიდველს შემდეგი სახის მომსახურება: 2016 წლის 02 თებერვალს სტუმრების (7 პერსონა) გამასპინძლება დანართი N1-ის (შერჩეული მენიუ) შესაბამისად.**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების 2 მუხლის 2,1 პუნქტისა და დანართი N1-ის შესაბამისი.

### 3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **311,30 (სამას თერთმეტი ლარი და 30 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დღგ-ს გარდა);

### 4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

## 5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

## 6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 გაწეული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშეკრულების 2,1 პუნქტში და დანართი N1-ში მითითებულ პირობებს.
62 მომსახურების გაწევა მოხდება მიმწოდებლის მისამართზე: ქ.თბილისი ცაბაძის ქუჩაN2

## 7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სააგენტოს“ უფროსი.

## 8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

## 10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება,
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 11 ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

## 14 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 15 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

## 16 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 17 დამატებითი პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

## 18. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ.N6
საიდენტიფიკაციო კოდი: 204585564
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 591 40 40 12

ვასილ გედევანიშვილი
უფროსი

**მიმწოდებელი:**

შპს „დანი“
ს/კ 404419704
იურ. მის: ქ. თბილისი, ცაბაძის ქN2
ბანკი: სს „ბაზის ბანკი“
კოდი:CBASGE22
ა/ა GE92BS0000000060736318
ტელ.: 577 14 42 48

ზერუჩა ლუსტუტაშვილი
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

13 ივნისი 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“** და **შპს „დანი“-ს** შორის 2016 წლის 13 ივნისს N1-51 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

**ვასილ გედევანიშვილი**

**მირზა სულხანიშვილი**

**თამარ გულიაშვილი**

2016 წლის 13 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №1-51 ის დანართი№1

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | კიტრი პამიდორის სალათი | 2 | 7 | 14 |
| 2 | ბაჟე | 1 | 7 | 7 |
| 3 | ტყემალი | 1 | 2 | 2 |
| 4 | ტომატის საწებელი | 1 | 2 | 2 |
| 5 | მჭადი | 3 | 1,50 | 4.5 |
| 6 | ხაჭაპური | 1 | 10 | 10 |
| 7 | ელარჯი | 2 | 9,00 | 18 |
| 8 | შოთის პური პატარა | 4 | 1 | 4 |
| 9 | ღორის ჩალაღაჯი | 2 | 15 | 30 |
| 10 | ქაბაბის ასორტი გარნირით | 1 | 40 | 40 |
| 11 | მარწყვი | 2 | 6 | 12 |
| 12 | ბალი 250გრ | 2 | 5 | 10 |
| 13 | ალუჩა 250გრ | 2 | 5 | 10 |
| 14 | ფხალის ასორტი | 1 | 13 | 13 |
| 15 | ყველის ასორტი ქართული | 1 | 18 | 18 |
| 16 | ყველი გუდა | 1 | 12 | 12 |
| 17 | ახალი კარტოფილი | 1 | 5 | 5 |
| 18 | კრომბახერი 400მლ ჩამოსასხ | 1 | 7 | 7 |
| 19 | ესტრტელა 400მლ ჩამმოსასხმ | 1 | 5.5 | 5.5 |
| 20 | ბორჯომი 500მლ | 2 | 2.5 | 5 |
| 21 | წყაროს წყალი სნო 750მლ | 2 | 2.5 | 5 |
| 22 | ლიმონათი ზედაზენი 500 მლ | 3 | 2.5 | 7.5 |
| 23 | ჩაი მწვანე სენჩა | 1 | 4 | 4 |
| 24 | წინანდალი | 1 | 3.5 | 3.5 |
| 25 | რანინა წითელი | 2 | 17 | 34 |
| | სულ ჯამი:283.00+10%28.30=311.30 | | | |

# მიღება-ჩაბარების აქტი
# N1-51/1

ქ. თბილისი

13 ,,ივნისი“ 2016წ

წინამდებარე აქტი შედგენილია მასზედ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“-სა (შემდგომში მიმწოდებელი) და შპს ,,დანი”-ს (შემდგომში მიმწოდებელი) შორის 2016 წლის 13 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N1-51 -ის შესაბამისად მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია შემდეგი სახის მომსახურება: **2016 წლის 13 ივნისს სტუმრების (7 პერსონა) გამასპინძლება დანართი N1-ის (შერჩეული მენიუ) შესაბამისად CPV5530000**

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | კიტრი პამიდორის სალათი | 2 | 7 | 14 |
| 2 | ბაჟე | 1 | 7 | 7 |
| 3 | ტყემალი | 1 | 2 | 2 |
| 4 | ტომატის საწებელი | 1 | 2 | 2 |
| 5 | მჭადი | 3 | 1,50 | 4.5 |
| 6 | ხაჭაპური | 1 | 10 | 10 |
| 7 | ელარჯი | 2 | 9,00 | 18 |
| 8 | შოთის პური პატარა | 4 | 1 | 4 |
| 9 | ღორის ჩალაღაჯი | 2 | 15 | 30 |
| 10 | ქაბაბის ასორტი გარნირით | 1 | 40 | 40 |
| 11 | მარწყვი | 2 | 6 | 12 |
| 12 | ბალი 250გრ | 2 | 5 | 10 |
| 13 | ალუჩა 250გრ | 2 | 5 | 10 |
| 14 | ფხალის ასორტი | 1 | 13 | 13 |
| 15 | ყველის ასორტი ქართული | 1 | 18 | 18 |
| 16 | ყველი გუდა | 1 | 12 | 12 |
| 17 | ახალი კარტოფილი | 1 | 5 | 5 |
| 18 | კრომბახერი 400მლ ჩამოსასხ | 1 | 7 | 7 |
| 19 | ესტრტელა 400მლ ჩამმოსასხმ | 1 | 5.5 | 5.5 |
| 20 | ბორჯომი 500მლ | 2 | 2.5 | 5 |
| 21 | წყაროს წყალი სნო 750მლ | 2 | 2.5 | 5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22 | ლიმონათი ზედაზენი 500 მლ | 3 | 2.5 | 7.5 |
| 23 | ჩაი მწვანე სენჩა | 1 | 4 | 4 |
| 24 | წინანდალი | 1 | 3.5 | 3.5 |
| 25 | რანინა წითელი | 2 | 17 | 34 |
| | სულ ჯამი:283.00+10%28.30=311.30 | | | |

სსიპ „ბირთვული და რადიაციული
უსაფრთოების სააგენტო„
უფროსი
ვასილ გედევანიშვილი

შპს „დანი"
დირექტორი
ბერუჩა ლუხუტაშვილი

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

## გადაგზავნილი

| | |
|---|---|
| 1 | ეა-13 0898531 |

| | | |
|---|---|---|
| 3 | ივნისი | 2016 |

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | 17 | ივნისი | 2016 |

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 **გამყიდველი**

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1 | 4 | 0 | 4 | 4 | 1 | 9 | 7 | 0 | 4 | | |

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| | |
|---|---|
| 5.2 | შპს დანი 2012 |

დასახელება (სახელი, გვარი)

6 **მყიდველი**

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6.1 | 2 | 0 | 4 | 5 | 8 | 5 | 5 | 6 | 4 | | |

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| | |
|---|---|
| 6.2 | სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო" |

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| სარესტორნო მომსახურება | მომსახურება | | 311.3000 | 47.4900 | 0.0000 |
| | | სულ | 311.3 | 47.49 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.